



$$581.6 + 581.9](479.22)$$

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროფ. ი. ჭუთათელაძე

გოგიართი ხნოვნები ველურად მოგარდ
საჭირო მარნარეთა შესახებ

(ამონაბეჭდი სტატუკორის დღიური დან)

4.6.2019-2219

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო
ფფილისი — 1929 წ.

ზოგიერთი ცნობები ველურად მოზარდ საჭირო გვენარეთა შესახებ.

როგორც ცნობილია საქართველოს ტყე და მინ დორ-ველი მეტად მდიდარია მკურნალობაში სახმარ ველურად მოზარდ მცენარეებით. უკანასკნელთა მოკრეფა მცირეოდენ ფარგლებში ყოველთვის წარმოებდ მის შემდეგ, რაც მოსახლეობა გაეცნო აღნიშნულ მცენარეთა თვისებებს და შეგროვილ მასალას იყენებ და მკურნალობის მიზნით.

ველურად მოზარდ მცენარეების შედარებით დიდი რაოდენობით (სავაჭრო მიზნით) შეგროვება დაიწყო საქართველოში მის შემდეგ, რაც აჭ გაიხსნა პირველი სახაზინო აფთააჭი. ვინაიდან ზემოხსენებული აფთააჭის მოთხოვნილება მეტად დიდი იყო, რადგან მას არა მარტო ტფილისის და მის ახლო მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უხდებოდა, არამედ საქართველოში იმ დროი არსებულ რუსეთის ჯარების მოთხოვნილებაც, შემოზიდვა წამლების კი სიძნელეს წარმოადგენდა, უმიტო აფთააჭი აწარმოებდა სამკურნალ-წამლო მცენარეთა მორეფა-მოგროვებას თავის საკუთარ ბალში (ყოფილ დედოფალ მარიამის ბალი ტფილისში), რა ამავე დროს აფთააჭი ხელს უწყობდა ველურად მოზარდ, მკურნალო

ბაში სახმარ, მცენარეთა შეგროვებას ტფილისის გარე-
დაც) ხელის შეწყობა იმაში გამოიხატებოდა, რომ გლე-
ხების მიერ შეგროვილ საჭირო ბალახების ნაწილებს,
იგი სიამოვნებით ღებულობდა. ველურად მოზარდ სამ-
კურნალ-წამლო მცენარეთა, მოგროვებას თაოსნობდა
გლეხი, ვინმე აფრიამ ტერტერაშვილი, რომელსაც ამა
თუ იმ საჭირო მცენარის ნაწილების შესაგროვებლად
იმ მიზნით, რომ დაგროვების დრო არ გაეშვა, მთელი
სოფლები გამოჰყავდა. შეგროვილ მასალას აწოდებდა
სახაზინო აფთიაქს, რომლის ლაბორატორიაში წარმო-
ებდა მისი გადამუშავება. საინტერესოა რომ, როგორც
ამ აფთიაქის გამგე ნიკიტინის რაპორტიდან ჩანს,
ჯერ კიდევ ასი წლის წინეთ მხოლოდ ზოგიერთ
სამკურნალ-წამლო ნედლი ბალახეულობა რუსეთიდან
შემოჰქმნდათ და ისიც ისეთი, რომელიც საქართვე-
ლოს არე მარეშე არ იზრდებოდა. დანარჩენ შემთხვე-
ვაში კი სახაზინო აფთიაქი იყენებდა ადგილობრივ
მოზარდ მცენარეებს ნედლი მასალის სახით. შემდეგ,
როდესაც აფთიაქების ქსელის გაფართოვება დაიწყო,
დაიწყეს ნედლი მასალის რუსეთიდან შემოზიდვა. ეს
იმით აიხსნება, რომ გლეხი ტერტერაშვილის თაოს-
ნობას თავის დროზე საჭირო ყურადღება არ მია-
ქცია ადგილობრივმა მთავრობამ და მის სათანადო
ორგანიზაციამ, რომელიც ამ საქმით დაინტერესე-
ბული უნდა ყოფილ იყო.

ასეთი გულგრილობა გრძელდებოდა ჩვენში საბ-
ჭოთა ხელის უფლების დამყარებამდე, რის შემდეგ
ამ საქმეს დიდი ყურადღება ექცევა. სამკურნალ-
წამლო მცენარეთა შეკრეფა - მოგროვების საკითხს
შეეხო პრველად ამიერ კავკასიის სახელმწიფო ვაკ-

რობა (ზაკვასტორგი) და შემდეგ სახმედვაჭრობა
1927 წელს დაგოსმედტორგპრომი. ორთავე დაწესებუ-
ლებათა უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო რწყილი
კალიას ყვავილებისა, შმაგას ფოთლებისა, სალეპის
გორგომილების და კატაბალახას ფესვების მოგროვე-
ბაზე: შეგროვილ მცენარეთა ნაწილების საერთო რაო-
დენობამ თუმცა მიაღწია კიდეც 1500 ფუთს, მაგრამ
საქმის არა რაციონალურად დაყენებისა გამო, ველურად
მოზარდ მცენარეთა შეკრეფა-მოგროვების საქმე მაინც
შეფერხდა.

სველურად მოზარდ საჭირო მცენარეთა ნაწილების
შეგროვება 1928 წელში პირველად იკისრა სახმედვაჭ-
რობამ და შეაგროვა კიდეც წითელი გვირილას ყვავი-
ლები 780 ფუთის რაოდენობით და 540 ფუთი შმაგას
ფოთლების გლეხების დახმარებით.

სახმედვაჭრობას გათვალისწინებული აქვს მიმდინა-
რე წელს გააფართოვოს თავის სამოქმედო ასპარეზი
სამკურნალ-წამლო მცენარეთა შეგროვების დარღვი.
ამიტომ მეტად სასურველია, რომ ამ საქმეში რაც
შეიძლება ფართოდ ჩაეგას გლეხობა, რომლისათვის
მკურნალობაში სახმარ მცენარეთა მოგროვების საქმე,
შეიძლება ითქვას, ახალია და ამასთანავე შემოსავ-
ლიანიც.

აქ მხოლოდ საჭიროა გლეხმა იცოდეს, თუ რა,
როდის და როგორ მოკრიფოს, რომ არ მოისპოს მცე-
ნარე, როგორ გააშროს და გამოიყენოს. აი სწორედ ამი-
სათვის ჩვენ განვიზრახეთ, რამდენადაც მოკლუ წერილი
საშუალებას მოგვცემს, იმ პირთ ვისაც ეს საქმე აინტე-
რესებს, მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობები; მაგრამ, სანამ

ჭამოყენებულ საკითხების გაშუქებას შეუდგებოდეთ, სა-
ჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნოთ, თუ ოოგორ დაიწყო
ამიერ კავკასიაში რწყილი კალიას ან წითელი გვირი-
ლას ყვავილების შეგროვების საქმე.

სოფელ დუალალ-ოლლუს მცხოვრები, სუმბათოვი
ეწეოდა ვაჭრობას. მას ხშირად უხდებოდა მიმოსვლა
სამჩრეთ აზიაში. იქ მან დაინახა, რომ წითელი გვირი-
ლას ყვავილს ხმარობენ შინაურ მწერების დასახოლა
ვად. როდესაც სუმბათოვი დაბრუნდა სამშობლოში,-
ურჩია თავის შვილს, სარქისს, რომ მას მიეყო ხელი,
ჯვირილას წითელი ყვავილების შეგროვებისათვის. მამის
გარდაცვალების შემდეგ შვილმა მოკიდა ხელი ამ საქმეს,
შეაგროვა წითელი გვირილას ყვავილები და დადი
სარგებლით გაჰყიდაკიდეც. როდესაც მან დაინახა, რომ
წითელი გვირილას ყვავილების მოგროვება მართლაც
სასარგებლო ყოფილა, მან გააძლიერა მუშაობა; ამასთა-
ნავე ცდილობდა კიდეც, რომ სხვას არ ესწავლა აღნი-
შნულ ყვავილების შეგროვება და არ გაეწია მისთვის
მეტოქეობა. მიუხედავად ამისა, დუალალ-ოლლუს მცხოვ-
რებლებმა გაიგეს რომ სარქის სუმბათოვი ეწეოდა გვი-
რილას ყვავილების შეგროვებას და მათაც მოპყიდეს
ხელი ამ საქმეს. ეს იყო ჯერ კიდევ 1818 წელს. მას
შემდეგ სწარმოებს წითელი გვირილას ყვავილების მოგ-
როვება და წლიდან წლამდე მოთხოვნილება მაზედ მა-
ტულობს კიდეც.

↗ მოყვანილი მაგალითი საცხებით ცხადყოფს იმ გარე-
მოებას, რომ ველურად მოზარდ საჭირო მცენარეთა
შეგროვების საქმე ჩვენში მეტად ხელსაყრელია. აი სწო
რედ ამისათვის ჩვენ გადავსწყვიტეთ შევეხოთ უკანას
კნელს და გავაშუქროთ ზემოდ ჭამოყენებული საკითხები.
საჭართველოში ჩვენ გვხდება რამოდენიმე ასი სხვა

და სხვა ბაზელწოდების შეურნალობა უმ სახმარი. და გამოსადეგი მცენარე. მათი აქ ჩამოთვლა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ შეუძლებელია და არც არის საჭირო. შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე სახელწოდების მცენარეზე, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილება.

შმაგა ანუ გიჟანა (*Atropa Belladonna*) (რომელ-საც კახეთში მრავალ ადგილას შეცოთომით ძალლყურძენ, სუწოდებენ, რომელთანაც არაგითარი კავშირი არა აქვს) წარმოადგენს მრავალწლოვან. მცენარეს, რომელიც სიმაღლით ჩვეულებრივად ერთ მეტრს აღწევს; მთებში ზოგიერთ ადგილს კი—არა იშვიათად ორ მეტრსაც. გვხდება დაბალ, ნახევრად ღია ტყეებში ან ნაკაფებში. გაზაფხულზე მისი აღმოცენება შეიძლება ითქვას ასწრებს ბალახის აღმოცენებას. შმაგას ღერო პირდაპირ მდგარი, არა ცხადკუთხოვანია და კენწორო—საკენ ჩანგლისებრ ტოტიანდება. ღერო ისე, როგორც ფოთლები, შემცულია მწებ ბუსუსებით. ფოთლები ასხა წყვილ-წყვილად დალაგებული ერთი მეორესთან ახლოს, რომელთა შორის ერთი ყოველთვის გაცილებით დიდია მეორეზე. მცენარის ძირა ფოთლები ყურწიანია და გაცილებით დიდი მცენარის ზედა ფოთლებთან შედარებით, რომელნიც თითქმის მჯდარ ფოთლებს წარმოადგენს. ფოთლები მთელ კედლიანია და ტიტ-ველი, ან ოდნავ ბუსუსებიანი ქვედა მხრიდან. ყვავილობს უმეტეს ნაწილად მეორე წელს. ყვავილების ფერი ცვალებადია დაწყებული ღია ლურჯი ფერიდან მუქი ის ფერამდე. ყვავილობა გრძელდება $1\frac{1}{2}$ —2 თვეს. ნაყოფი ჯერ კიდევ უმწიფარი მწვანე ფერისაა, დამწიფებისას კი—შავდება. თუმცა მწიფე ნაყოფი ერთი შეხედულებით შავია, მაგრამ თუ მასში მოთავსებულ წვენს გამოვუშებთ, მას მუქი ის ფერი აქვს. ნაყოფში მოთავსებუ-

ლი თეսლის რიცხვი ასორმოცდაათს აღწევს. ფოთ-
ლების მოკრეფას იწყებენ იმ დროიდან, როდესაც
ისინი დასრულდებიან. დასრულებული ფოთლები
თუ თავის დროზე არ იქნა მოკრეფილი, მათ უჩნდე-
ბა ყვითელი ლაქები, ესე იგი ფოთლი იწყებს გახ-
მობას და, თუ კიდევ დააგვიანდა, ასეთი დასრულე-
ბული ფოთლები ჩამოცვივა. დასრულებულ ფოთლების
გვერდით ყოველთვის იმყოფება ჯერ კიდევ ახალგაზ-
რდა, ნორჩი ფოთლები, რომლებიც დასრულებულ ფო-
თლების მოკრეფის ან მათი ჩამოცვენის შემდეგ ორი-
სამი კვირის განმავლობაში დასრულდებიან და თუ არ
მოიკრიფა, ისინიც ისე ჩამოცვივა, როგორც პირველი.
მოკრეფისას, მიუხედავად იმრსა მცენარე აყვავილებული
იქნება თუ არა, უნდა მოიკრიფოს მხოლოდ დასრულე-
ბული ფოთლები. თვით მოკრეფა უნდა წარმოებდეს
ძმრალ ამინდში და უნდა ედევნოს თვალყური, რომ
ფოთლებზე არ იქნეს ცვარი. თუ ფოთლებზე ცვარია,
იმ შემთხვევაში საჭიროა ტოკი სანამ ცვარი გაშრე-
ბოდეს და მხოლოდ მერმე უნდა მოიკრიფოს. თუ ცვა-
რიანი ფოთლები იქნა მოკრეფილი ან გაშრობისას შემ-
თხვევით შესველდა ისინი, იმ შემთხვევაში ფოთლები
გაშავდება და თავის ლირებულებას დაკარგავს. თვით
გამშრალება უნდა ხდებოდეს ჩრდილში, რადგან მზის
სხივები აყვითლებს ფოთლებს და ამცირებს მათ ლირე-
ბულებას. გამშრალ ფოთლებს უნდა ჰქონდეს მწვა-
ნე შეხედულება. ფოთლების გასაშრობათ შეიძლება
ისეთი სრვენის გამოყენება, რომელიც ლია გვერ-
დებიდან ჰაერის მოძრაობისათვის. მხოლოდ სხვეზე
ფოთლების პირდაპირ დაყრა არ შეიძლება, რადგან-
ნიავი ქვემო დან ფოთლებს კერ გაუგლის და მათ - დაო
ბება მოხდება. ფოთლების გასაშლელად შეიძლება მოქ-

სოფილი იქნეს ჩელტები, რომლებიც სხვენზე ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ მათ ქვემოდან ნიავი კარგად შედიოდეს. უფრო მიზანშეწონილია ისეთი სახლების სხვენების გამოყენება, რომელთა სახურავი თუნუქისაა, რადგან ასეთ სხვენზე სითბო უფრო მეტია. ჩელტებზე ფოთლები სქლად არ უნდა იყოს დაყრილი. საკმარისია 3—4 ფოთლის სისქე. ფოთლების გადატრიალება უნდა წარმოებდეს ყოველ დღე. თუ კარგი ამინდია, იმ შემთხვევაში ფოთლების გამშრალება ორ დღეშიაც დამთავრდება, რის შემდეგ გამშრალებული მასალა უნდა იქნეს მოთავსებული ტომრებში და შენახული ისე, რომ მზის სხივები არ უცქერდეს მათ.

ფოთლები, რომლებიც მცენარის სიცოცხლის მეორე წლის განმავლობაში აყვავილებამდე ან თვით აყვავილებისას იქნება მოკრეფილი, არის მაღალი ხარისხის; ის ფოთლები კი, რომლებიც მოკრეფილი იქნება მცენარის აყვავილების შემდეგ, შედარებით ხაკლები ხარისხისაა, მაგრამ სავსებით გამოსადეგი ფოთლების მოკრეფა გრძელდება მანამდე, სანამ რთვილი დაჰკრავს. რომ გლეხმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახოს შმაგას ფოთლების შეგროვებიდან მან უნდა აწარმოოს შემოდგომამდე მხროლოდ დასრულებული ფოთლების დაკრეფა და არავითარ შემთხვევაში მცენარის დერო არ უნდა მოჭრას, რადგან ის ამით იმავ ზაფხულის განმავლობაში ფოთლების შემდეგი მოკრეფის საშუალებას მოკლებული იქნება. შემოდგომაშე კი, როდესაც უკვე აგრილებას დაიწყებს, შეიძლება მოჭრილი იქნეს შმაგას ღეროები ნიადაგის ზემოთ ერთ ორ გოჯის სიმაღლეზე და გაკრეფილი მთლიანად. მართალია ეს ფოთლები შედარებით მცენარის აყვავილების დროს მოკრეფილ

ფოთლებთან უფრო ნაკლები ხარისხის იქნება, მაგრამ მათი გამოყენება თავისუფლად შეიძლება. რაც შეეხება მოკრეფილ ფოთლების გამშრალებას, უნდა ითქვას შეძლები: ტყეში გამშრალებას ხშირად აწარმოებენ ხეების ჩრდილის ქვეშ. თვით ფოთლებს ჰყრიან მიწაზე, ბალაზე და გამშრალებულ ფოთლებს უყრიან თავს ფოცხით. ასეთი წესით ფოთლების გამშრალება არ არის რაციონალური, რადგან ჯერ ერთი, რომ გასამშრალებელი მასალა არ არის მთლიანად დაცული მზის სხივებისაგან, რამელიც როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, მათ აზიანებს და მერმე ისიც, რომ ბალაპეტე დაყრილი ფოთლების მოხვეტისას, აუცილებლად შეკყვება ბალაზის ნაწილები ან გარეშე ფოთლები, რითაც მცირდება მასალის ღირებულება. ამისთვის საჭიროა ასეთ ადგილებში ფოთლების გასამრობად ამორჩეული იქნეს ლია ადგილი, დაიხუროს ბრეზენტით ისე, როგორც კარავი და თაროებათ კი გამოყენებულ იქნეს მოქსოვილი ბადეები, მიწა იქნეს მოსუფთავებული ბალაზებიდან და, რომ უკვე გამშრალებული ფოთლები ქარმა არ წაიღოს, მოწყობილ საშრობს გვერდებზედაც გაუკეთდეს წვრილი ბადე. ფოთლების დასაყრელი ბადეები ისე უნდა იქნეს გაკეთეთებული, რომ მათ მზემ არ უნდა შეხედოს. ასეთ საშრობში გაცილებით უფრო მაღლე ხდება გამშრალება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც გასამშრალებელი მასალა იყრება მიწაზე და ხეების ჩრდილოს ქვეშ, უზრუნველყოფილია შემთხვევით წამოსულ წვიმით დასველებისაგან და ამასთანავე ერთად თავისუფალია გარეშე მინარევებისაგან.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა რაოდენობის მოკრეფას შესძლებს მუშა ხელი, ეს დამოკიდებულია ~~თვით~~

12.6 თუ ს ი ს მ ი ს ხ ა შ ე ც ე ბ

მ ნიადაგზე, სალაც ხარობს, შმაგა და აგრეთვე თვით
მომუშვის უნარიანობაზე, რომელსაც შეუძლია 2—3
ფუთი მოკრიფოს დღეში. შვიდი ფუთი ნედლი ფოთ-
ლებისა გაშრობის შემდეგ იძლევა მშრალი ფოთლების
ერთ ფუთს. ერთი ფუთი მშრალი ფოთლის ადგილო-
ბრივი მაგარი ფასი 13 მან. და 50 კ. უდრის, რა ფას-
შიაც ღერძულობს მას სახმედვაჭრობა.

**წითელი გვირილას ან რწყილი-კალიას ყვა-
ლილები—*Flores pyrethri rosei***

ველურად მოზარდ მცენარეთა შორის მეტად სა-
ყურადღებო მცენარეს წარმოადგენს დიდრონ ყვავილე-
ბიანი გვირილას განსაკუთრებული სახე, რომლის თავ-
დაპირველად მუქი წითელი ფერი შემდეგ ვარდის ფერად
იცვლება. ასეთს უწოდებენ სახელად სპარსულ გვირი-
ლას, წითელ გვირილას ანუ რწყილიკალიას. ის იზრდება
ბუჩქებად, რომლებისაგანაც ამოიზრდება ხოლმე 8—14—
16 გოჯის სიმაღლის ყვავილის ლეროები. თესლის დამწი-
ფების შემდეგ უკანასკნელი ხმება ხოლმე, მრავალ წლო-
ვანი ძირი კი ვითარდება და ოჩქება შემდეგი წლისათვის.
გვარილა იზრდება ჩვეულებრივად მთების ისეთ ადგი-
ლებში, რომელთა სიმაღლე დაახლოებით ზღვის დონეს
ზემოლ 4500—6800 ფუტს აღწევს. დიდი რაოდენობით
გვხდება ის აღბულალისა, სოფ. წალკასა., სოფ. ჯალალ-
ოლლუ და კარაკლისის ახლო მახლო მიდამოებში; გარ-
და ამისა კავთისხევისა და მანგლისის შუა. გვხდება
აგრეთვე დიდი რაოდენობით ზოგიერთ მდინარეების
სათაურებთან, რაგორც მაგალითად აქსტაფა, ბორჩალა
და სხვ.

ყვავილობს ჩვეულებრივად სიცოცხლის მეორე წლის განმავლობაში, დაახლოებით მაისის დამლევიდან და გრძელდება ერთი თვე. ზოგიერთ ცალების აყვავილებას კი ადგილი აქვს მცენარის სიცოცხლის პირველ წელსვე. შიოთელი გვირილას ჯერ კიდევ გაუმშრალებელ ყვავილს აქვს სუსტი სუნი, მაგრამ გაშრობის შემდეგ სუნი მისი მეტად ძლიერდება.

იხმარება მხოლოდ ყვავილები, რომელთა კრეფას იწყებენ აყვავილების დაწყების რაოდენიმე დღის შემდეგ მზიან დღეში და თუ ცვარიანი დილა იყო, ცვარის გაშრობის შემდეგ იმავ წესებით რომელიც იყო გამოთქმული ზემოთ შმაგას შესახებ.

თვით გაშრობას აწარმოებენ იმდაგვარადვე, როგორც შმაგას.

რაოდენობა, რომელიც შეუძლია ერთ მუშა ხელს შეკრიფოს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიხშირით შეხვდება, მას მოსაკრეფი ყვავილები და აგრეთვე თვით მუშის სიმარდეზე. ისეთ ადგილებში, სადაც ოწყილიკალია ხშირად ხვდება, ერთ მუშა ხელს შეუძლია შეაგროვოს ნედლი ყვავილი ორ ფუთამდე. 3 ფუთი ნედლი ყვავილებისა იძლევა გაშრობის შემდეგ ერთ ფუთს. ერთი ფუთი ოწყილიკალიას მშრალი ყვავილების მაგარი ფასი 7 მან. და 50 კ. უდრის.

ტუხტი—*Althaea officinalis*

ტუხტი წარმოადგენს მრავალ-წლოვან, ბალახოვან მცენარეს, რომელიც საქართველოში მეტად გავრცელებულია და იზრდება ნოტიო ადგილებში. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში მცენარე იძლევა დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლის, პირდაპირმდგარ. ტოტებიან, ნაცრის ფერ მწვანე ბუსუსებით მოცულ, წვ-

ოილ დეროებს. ფოთლები აქვს ყურშიანი, მორიგეობით განწესრიგებული და მრავალ კბილიანი. ქვემო ფოთლები კვერცხის მოყვანილობისაა და თითქმის ხუთად დანაკვთილი; ზემო ფოთლებს კი მოგრძო კვერცხის მოყვანილობა აქვს და სამად დანაკვთილია. ლია ვარდის ფერი ყვავილები მოთავსებულია ყოთლების იღლიებში. ნაყოფი შრალია და შემოგარსულია დარჩენილი ჯამაკით. ყვავილობს ივნისს-ივლისსა და აგვისტოში, იმის და მიხედვით თუ რა ადგილას, უფრო თბილ თუ შედარებით გრილ ადგილას იგი იზრდება თესლს აქვს თირკმელისებური შეხედულება, ორმხრივ შეტკეპნილია და მუქი ზანგელა ფერის.

მკურნალობაში იხმარება მხოლოდ ძირები. ჯერ კიდევ 1916 წლის ცნობებით რუსეთს ესაჭიროებოდა 4.000 ფუთი გასუფთავებულ და გამშრალ ტუხტის ძირებისა. როგორც ვხედავთ, ტუხტის ძირებზე დიდი მოთხოვნილება იყო და მას შემდეგ ეს მოთხოვნილება უფრო გადიდდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტუხტის ძირების დაგროვება სწარმოებს ნოემბრიდან თებერვლის დამლევამდე, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ეს დრო შესაძლებელია ჩვენ გლეხეა, როდესაც ის შედარებით თავისუფალია, სარგებლიანად გამოიყენოს.

აი სწორედ ამისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ტუხტის ძირების მოგროვების შესახებ საჭირო ცნობები მოვიყვანოთ.

ტუხტის ძირების მიწიდან ამოთხრა, როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, შეიძლება წარმოებულ იქნას როემბრიდან თითქმის თებერვლის დამლევამდე, ერთი სიტყვით, დაწყებული იმ დროიდან, როდესაც ლეროები მის ფოთლებინათ უპვე გამხმარია და იმ დრომ-

დე, საწამ მცენარე ამოსვლას დაიწყებდეს. ამგვარად ვინაიდან ველურად მოზარდ ტუხტის ძირების ამოთხრა გვიხდება სწორედ იმ დროს, როდესაც მას ნიადაგის ზემოდ აღარავითარი შეიძლება ითქვას დამახასიათებელი ნიშნები აღარ უჩებება გარდა გამხმარღეროებისა, ამისათვის იმ ადგილვბის, სადაც ტუხტი იზრდება, დათვალიერება უნდა ჯერ კიდევ მაშინ როდესაც მცენარე ყვავის. ეს არის საჭირო იმისათვის, რომ ის, ვინც ზამთრის ხანაში ტუხტის ძირების შოთხრას იკისრებს, დარწმუნდეს ტუხტი მართლაც და იმ ადგილებში ღია ვარდისფერ ყვაფილებიანია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფამოსადეგია მცურნალობაში.

მიწიდან ტუხტის ძირების ამოღებისას კი მუშახელი უნდა ცდილობდეს არ დააზიანოს ბარით ძირები, რადგან დაზიანებული ადგილები ცუდათ ირეცხება. ამოღებულ ტუხტის ძირებს, რომლებიც უნდა იყოს არა ნაკლებ ნეკის სიმსხოსი, წაჭრიან ზემო ნაწილს, ესე იგი იმ ნაწილს, საიდანც მომავალში უნდა აღმოცენებულიყო ღეროები, მოათავსებენ ამონათხარ მიწაში და ზემოდანაც მიწას გადააყრიან. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ამავე ადგილას შემდეგშიაც ამოვიდეს მცენარე ტუხტი.

ამოთხრილ ძირებს რეცხენ წყლით, რომ შეცილდეს მიწა, რის შემდეგ ჯერ კიდევ ნედლს (თუ გახმა შემოუქერქვა მეტად გასაჭირი გახდება) შემოაცალიან ქერქს დანის საშუალებით (ფხეკენ). გახევებული მთავარი ძირები გამოუსადეგარია. იხმარება გვერდითი ძირები რომლებიც მდიდარია ლორწოთი. გაფხვილ ძირებს ჩლეთენ იმ მიზნით, რომ ადგილად მოხდეს მათი გაშრობა და ჩელტებზე მოთავსების შემდეგ აშ

რობენ თბილ ადგილას. გაშრობისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ იმ ადგილას, სადაც გაშრობა იქნება წარმოებული, ბოლი არ იქნეს, რაც, ცხადია, მასალას გააფუჭებს. გარდა ამისა ტემპერატურა ოთახში არ უნდა აღემატებოდეს 35°-ს C-ით, წინააღმდეგ შემთხვევაში ძირები გაყვითლდება ადვილად და გაფუჭდება.

ამით თავდება ტუხტის ძირების მოგროვების საჭმე. 5 ნაწილი მიწიდან ამოლებული ძირებისა ზემოაღნიშნულ წესით დამუშავებულ და გამშრალებულ მასალის 1 ნაწილს იძლევა.

ტუხტის ძირების გამომშრალების პროცესის დამთავრების კრიფტერიუმი (საზომი) ის არის, რომ ისინი ადვილად ტყდება.

ამგვარად გამომშრალებული ტუხტის ძირები უნდა შენახულ იქნეს მშრალ ადგილას. ნოტიო ადგილას შენახული იკიდებს ობს და მუავდება.

ერთ კარგ მუშა-ხელს შეუძლია დღის განმალობაში ამოთხაროს ტუხტის ძირები დაახლოვებით ორ ფუთამდე და მეტიც იმისდა შიხდვით, თუ როგორ არის ამოსალები მცენარე გავრცელებული და ამასთანავე ერთად როგორ ბეჯითად იმუშავებს მუშა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნულ წესით დამუშავებული გამშრალი ძირების 1 ფუთის ღირებულება 7—8 მანეთს უდრის, დავრწმუნდებით, რომ ეს მუშა ხელისათვის სარგებლიან საქმეს წარმოადგენს.

შროშანა. *Conwallaria majalis*

ვინ არ იცის და ვის არ უნახავს მეტად ლამაზი, სურნელოვანი, უჯამაჭო, თეთრ ყვავილიანი და მრავალ-წლოვანი მცენარე—შროშანა. უკანასკნელის

ყვავილი მისივე ფოთლებ შუაა მოთავსებული, თითქმის ყველას უკავია ზელში ან მიმაგრებული აქვს გულზე მაისში სწორედ მაშინ, როდესაც ეს მცენარე ყვავის.

მიუხედავათ იმისა, რომ შროშანას თითქმის ყველა იცნობს და ყველამ იცის, თუ რა დიდი რაოდენობით იგი იზრდება ჩვენს ტყეებში, ბევრმა არც კი იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას მკურნალობაში, როგორც გულის მოქმედების მომწესრიგებელ საშუალებას და ბევრმა არ იცის აგრეთვე თუ რა დიდი საჭიროებაა მაზე.

მიუხედავათ შროშანას ყვავილების დიდი საჭიროებისა, უკანასკნელი პირდაპირი დანიშნულებისათვის არ იკრიფება ჩვენში ჩვენივე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაშით, როდესაც შეგვიძლია ამ ყვავილების ექსპორტიც ვაწარმოოთ.

შედეგი ჩვეით ასეთი დაუდევრობისა ის განლავთ, რომ თითქმის ყოველწლიურად შროშანას ყვავილების წვეთებში ჩვენ საჭიროებას განვიცდით და ავალმყოფი უწამლოდ გვრჩება. ამავე დროს ჩვენ ტყეებში ყოველწლიურად იღუპება აღნიშნულ ყვავილების მეტად დიდი რაოდენობა. ასეთი მდგომარეობა ნორმალური არაა. ვფიქრობთ საჭიროა გამოყინებულ იქნას შროშანას ყვავილები არა მარტო ჩვენი საჭიროებისათვის, არამედ უნდა იქცეს ის საექსპორტო საგნად. ამისათვის საჭიროა მისი სათანადოთ მოკრეფა.

ვინაიდან შროშანა ყველას მიერ ცნობილია, ამიტომ შეი აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში იგი მხოლოდ ფოთლებს იძლევა. მეორე წელს ყვავის და მესამე წლის განმავლობაში იძლევა ლუ-

ქისებრ წითელი ფერის ნაყოფს. მკურნალობაში იხ-
მარება ყვავილები. მათი მოკრეფისას (რომელიც გაი-
ფების მიზნით ბავშვების მიერ უნდა წარმოებდეს) ყუ-
რადლება უნდა მიექცეს, რომ მხოლოდ ახლად გაშ-
ლილი ყვავილები ღეროებანად იკრიფებოდეს. ის
ყვავილები, რომლებიც უკვე გაყვითლებულია არ ვარ-
გა მოსაკრეფად.

მოკრეფილი ყვავილები არ უნდა იქნეს დაჭყლე-
ტილი, მაშასადამე კალათში მოთავსებისას დატენა
მათი დაუშვებელია. დაჭყლეტილი ან მაგრად კალათ-
ში ჩატენილი შავდება გაშრობისას და ფუჭდება.

ყვავილების ის ნაწილი, რომლის გაშრობაა გან-
ზრააზული, უნდა მოთავსებულ იქნეს წმინდათ მოქ-
სოვილ ჩელტებზე (კარგათ მოწყობილ გასაშრობ-
ოთახებში უმჯობესია ნახმარი იქნეს მოთუთიებული
ბადები) და უკანასკნელი კი თბილ ოთახში, რომელ-
შიაც ჰაერი კარგად უნდა მოძრაობდეს, ან და ისეთ
სახლების სხვენებზე, რომელთა სახურავი თუნუქისაა.
გასაშრობ ყვავილების სხვენებზე ან ბადეებზე გაშლი-
სას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ყვავილები არ იქ-
ნეს სქლად დაყრილი.

გაშრობის შემდეგ ყვავილებს აშორებენ ღეროებს,
გამოაცლიან მტვერს საცერის საშუალებით და ინა-
ხავენ კარგად დახშულ თუნუქის ან ხის ყუთებში. გაშ-
რობისას ყვავილების მეტად სასიამოვნო სუნი იკარგება.

ნედლი ყვავილების 8—9 ნაწილი იძლევა მშრალ
ყვავილების ერთ ნაწილს.

ნედლი ყვავილების 1 ფუთის მაგარი ფასი შეად-
გენს 12 მანეთს. ხოლო ერთი ფუთი მშრალი ყვავილე-
ბის ლირებულება კი განისაზღვრება 40 მანეთით.

მოცვი—Waccinium myrtillus

საქართველოში ბუჩქნარი მოცვი მეტად გაფრცე-
ლებულია და მას კარგად იცნობს გლეხობა. ჩვეულებ-
რივად მოცვი ბუჩქნარს წარმოადგენს რომელიც სიმაღ-
ლით 30-40-იდან 100-120 cm-ს აღწევს, აქვს პირდაპირ
მდგარი ღერო, რომელიც ტოტიანდება. კვერცხისე-
ბური მოყვანლობისა ფოთლები მოკლე ყურწიანია,
ოდნავ ტყავისებური და წვრილად მრგვალად დაკბი-
ლული, რომელიც შემოდგომით ჩამოცვივა ხოლმე.
ყვავის მაისია და ივნისში. ფოთლების იღლიებში მო-
თავსებული ბურთულისებური პატარა ყვავილები მომ-
წვანო ვარდის ფრისა. ნაყოფი წვენიანია, შავი, მრა-
ვალთესლიანი და დაახლოვებით 8 მილიმეტრის დია-
მეტრისა. უკანასკნელი მწიფდება ივლის-აგვისტო-
ში. მკურნალობაში იხმარება მწიფე ნაყოფი, რო-
მელსაც კრეფენ ~~სულილი~~ ივლისის ან აგვის-
ტოს დამლევს, იმისდა მიხედვით იზრდება მცენარე
უფრო თბილ თუ გრილ ადგილებში. მოკრეფილ მასა-
ლას აშრობენ სპეციალურ საშრობებში ან და ამ მიზნით
შეიძლება, სოფლად გამოყენებულ იქნას რუსული ღუმე-
ლი. რუსული ღუმელის გამოყენებისას რომ უკანასკნელში
რაც შეიძლება მოცვის მეტი რაოდენობა შოთავსდეს.
თვით ღუმელში აკეთებენ ერთგვარ თაროებს. ამ მიზ-
ნით ისეთ ოთხ კუთხიან (დაახლოვებით ერთი გოჯის
სისქის) ჩარჩოებზე, რომელიც შეიძლება მოთავსდეს
ღუმელში, დააკრავენ ხოლმე მოთუთიებულ ბადეს
თაროებზე დაჰყრიან ხოლმე მოცვის ნაყოფს და მა-
თი ცხელ ღუმელში შედგომის შემდეგ აშრობენ რამო-
დენიმე (7—8 საათი) საათის განმავალობაში. გამო-
შრობილად ითვლება მოცვის ნაყოფი, თუ ისინი უკვე

ალარ ეჭეპება ერთი მეორეს თუნდაც მაგიდაზე მათი
დაყრისას.

ჩვეულებრივად ღუმელში ქვედა თაროზე მოთავ-
სებული მოცვის ნაყოფები უფრო ადრე შრება, ვიდ-
რე ზემო თაროებზე. ამიტომაც უწინ გასინჯავენ ძირა
თაროზე მოცვს და, თუ იგი უკვე გამშრალებულია, იმ
შემთხვევაში თაროს გაცლიან და ზემოდ მყოფ თა-
როებს კი იმავ რიგით, როგორც დალაგებულია, ჩა-
მოწევენ ქვემოდ. ამგვარად ღუმელში განთავისუფლე-
ბა ზემო თაროს ადგილი. განთავისუფლებულ ადგი-
ლას. ათავსებენ გაცარიელებულ თაროს და მასზე
ჰყრიან ხოლმე ახლად გასაშრობ ნაყოფებს. გამშრა-
ლება შეიძლება იქნეს ნაწარმოები თუნუქით დახუ-
რულ სხვენებზედაც წმინდათ მოქსოვილ ჩელტებზე.
მოცვის ნაყოფი ითვლება გამშრალებულად თუ 8 ნა-
წილი ნედლი ნაყოფების გამომშრალების შემდეგ მი-
ღებული იქნა მასალის ერთი ნაწილი.

გამომშრალებული მოცვის ნაყოფს ტილოს ტომ-
რებში მოთავსების შემდეგ ინახვენ მშრალსა და ისეთ
ადგილას, სადაც ნიავი კარგად მოძრაობს. საჭიროდ
მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თუ მოცვის ნაყოფი სა-
თანადოთ გამოუმშრალებელი იქნა შენახული, იგი
დაიწყებს დუღილს, დაობდება და უვარგისად გახდება.
ამისათეის საჭიროა გამომშრალების პროცესს განსა-
კუთრებული ყურადღება მიექცეს.

